# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №417

## 2019 წლის 30 აგვისტო

## ქ. თბილისი

### ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 6600.00 კვ. მ გეგმარებითი არეალის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ

**მუხლი 1**

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141-ე მუხლისა და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 6600.00 კვ. მ გეგმარებითი არეალის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №64.30.08.178, №64.30.01.081) განაშენიანების რეგულირების გეგმა თანდართული დოკუმენტაციით.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ - მინისტრი** **მამუკა ბახტაძე**